საქართველოს მთავრობის

დადგენილება №264

2016 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ

მუხლი 1

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესი და პირობები.

მუხლი 2

ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად:

1. ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულმა სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის ოქტომბრის პირველ სამუშაო კვირაში და შემდეგ ყოველთვიურად, თვის პირველ სამუშაო კვირაში მიაწოდონ განახლებული მონაცემები წინა თვის განმავლობაში მათ დაწესებულებაში დასაქმებული ექიმებისა და ექთნების და დაკონტრაქტებული/დასაქმებული სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნების შესახებ, სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმატით.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო) ვალდებულია, უზრუნველყოს ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებებისა და ამ დაწესებულებებში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალის (ექიმი, ექთანი) შესაბამისი რეესტრის წარმოება.

(მე-2 მუხლის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №552 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება/განხორციელება.

მუხლი 3[1]

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებულ პროგრამულ კლასიფიკაციას დაამატოს პროგრამული კოდი - „სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში“ (პროგრამული კოდი – 35 02 04);

ბ) „სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში“ პროგრამისათვის საჭირო ასიგნების გათვალისწინების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.
2. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროა წლიური საბიუჯეტო კანონით „სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში“ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნება.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №400 - ვებგვერდი, 18.08.2016წ.

მუხლი 4

დადგენილება, გარდა მე-3 მუხლისა, ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 5

ამ დადგენილების მე-3 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესი და პირობები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს წესი განსაზღვრავს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დანამატის დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს დანამატის დანიშვნა-გაცემისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, ასევე განსაზღვრავს დანამატის დაფინანსების პროცედურებს, ადგენს დანამატის ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს, არეგულირებს დანამატის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

2. ეს წესი ვრცელდება:

ა) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ, სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირზე;

ბ) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი), რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება;

გ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე შემდეგ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებზე:

გ.ა) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მაღალმთიან დასახლებაში განთავსებულ ფილიალებში მომუშავე სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი);

გ.ბ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მფლობელობაში არსებულ შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი):

გ.ბ.ა) შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ: 236035517);

გ.ბ.ბ) შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო“ (ს/კ: 243123455);

გ.ბ.გ) შპს „მანგლისის საავადმყოფო-პოლიკლინიკა“ (ს/კ: 230805117);

გ.ბ.დ) შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“ (ს/კ: 222717246);

გ.გ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მფლობელობაში არსებულ შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი):

გ.გ.ა) შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“ (ს/კ: 435892483), (მესტიის მუნიციპალიტეტი);

გ.გ.ბ) შპს „ჭუბერი-უშგულის სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურეობა“ (ს/კ: 435891448), (მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო);

გ.გ.გ) შპს „ნიქოზის ამბულატორია“ (ს/კ: 217889266), (თვითმმართველი თემი – გორის მუნიციპალიტეტი);

გ.გ.დ) შპს „ბარისახოს ამბულატორია დღის სტაციონარი“ (ს/კ: 229279839), (დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო);

გ.გ.ე) შპს „შატილის საექიმო ამბულატორია“ (ს/კ: 229279919), (დუშეთის მუნიციპალიტეტი);

დ) მაღალმთიან დასახლებებში „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტით განსაზღვრული მომსახურების შესაბამისი მიმწოდებლები (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ან შესაბამისი მიმწოდებლების მიერ დაკონტრაქტებული/დასაქმებული სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი.

(მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №552 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 2. გამოყენებული ტერმინები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისთვის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო;

გ) დანამატი – ყოველთვიური ფულადი გასაცემელი:

გ.ა) სახელმწიფო პენსიის მიმღები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის;

გ.ბ) სოციალური პაკეტის მიმღები, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის;

გ.გ) ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისათვის;

(„გ.გ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

დ) (ამოღებულია -16.08.2016. №400);

ე) დადგენილება – „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება;

ვ) ბრძანება - „სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №01-9/ნ ბრძანება;

ზ) ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, როგორც „მაღალმთიანი

რეგიონების განვითარების შესახებ“ და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონებსა და დადგენილებაშია მოცემული, თუ ამ წესში სხვა რამ არ არის მითითებული.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №400 - ვებგვერდი, 18.08.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №552 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 3. დანამატის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო

1. დანამატის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა სააგენტო, რომელიც ახდენს დანამატის დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტას და გადაანგარიშებას, აგრეთვე დანამატის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას, მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. სააგენტო უფლებამოსილია, თავის საქმიანობაში გამოიყენოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ავტომატიზებული საშუალებები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს.

თავი II

დანამატის მიღების უფლება, დანამატის ოდენობა და დანამატით უზრუნველყოფის პრინციპები სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთათვის

მუხლი 4. დანამატის მიღების უფლება და დანამატის ოდენობა სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთათვის

1. დანამატის მიღების უფლება აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ:

ა) სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირს;

ბ) სოციალური პაკეტის მიმღებ პირს, გარდა დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის დანამატის ოდენობა შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის 20 პროცენტს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის დანამატის ოდენობა შეადგენს, დადგენილებით დამტკიცებული წესით, შესაბამისი კატეგორიისათვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის ოდენობის 20 პროცენტს.

მუხლი 5. დანამატის დანიშვნა, გაცემა, შეჩერება, შეწყვეტა, განახლება და გადაანგარიშება

1. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის დანამატის დანიშვნას და გაცემას სააგენტო უზრუნველყოფს ავტომატურად, დაინტერესებული პირის მიერ დანამატის დანიშვნის თაობაზე განცხადებით მიმართვის გარეშე.

2. თუ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სერვისების განვითარების სააგენტო) მიერ

წარმოებულ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის მიხედვით, პირს მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, სააგენტოს მიერ, შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, ავტომატურ რეჟიმში განხორციელდება დანამატის დანიშვნა.

3. სააგენტო დანამატის დანიშვნასა და გაცემას უზრუნველყოფს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და აანაზღაურებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების/აღდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

4. დანამატი გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო პენსიასთან/სოციალურ პაკეტთან ერთად.

5. დანამატის ადმინისტრირება, ამ წესით დადგენილი დებულებების გათვალისწინებით, ხორციელდება სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის ადმინისტრირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიუღებელი თანხის ანაზღაურების ნაწილში.

6. სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის შეჩერება, შეწყვეტა ავტომატურად იწვევს დანამატის შეჩერებას, შეწყვეტას.

7. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, დანამატის შეწყვეტა ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

8. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ სტატუსის აღდგენის (განმეორებით მინიჭება) შემთხვევაში, დანამატის დანიშვნა და გაცემა განხორციელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დანამატის შეწყვეტასთან ერთად ან შემდგომ პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის შეწყვეტა, დანამატის დანიშვნა და გაცემა განხორციელდება სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის დანიშვნისა და გაცემის დროს, მიუხედავად მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის განმეორებით მინიჭების გადაწყვეტილების მიღების თარიღისა.

9. დანამატის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, შეწყვეტის წყაროა სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება სააგენტოს.

10. დანამატის გადაანგარიშება ავტომატურად განხორციელდება სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის ოდენობის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად.

11. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანამატის მიმღებ პირებზე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №400 - ვებგვერდი, 18.08.2016წ.

თავი III

დანამატის მიღების უფლება, დანამატის ოდენობა და დანამატით უზრუნველყოფის პრინციპები ექიმისათვის/ექთნისათვის

მუხლი 6. დანამატის მიღების უფლება და დანამატის ოდენობა ექიმისათვის/ექთნისათვის

1. დანამატის მიღების უფლება აქვთ ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ:

ა) ექიმს/სოფლის ექიმს;

ბ) ექთანს/სოფლის ექთანს;

გ) ამასთან, ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ექიმს/ექთანს დანამატის მიღების უფლება აქვს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ქონის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის დანამატის ოდენობა:

ა) 2017 წლის 1 იანვრამდე შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ორმაგ ოდენობას, თუ მას საანგარიშგებო თვეში არ აქვს გამოყენებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. საანგარიშგებო თვეში პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისას გამოყენებული შეღავათი გამოაკლდება გადასარიცხი დანამატის ოდენობას;

ბ) 2017 წლის 1 იანვრიდან შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ორმაგ ოდენობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის დანამატის ოდენობა:

ა) 2017 წლის 1 იანვრამდე შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობას, თუ მას საანგარიშგებო თვეში არ აქვს გამოყენებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. საანგარიშგებო თვეში პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისას გამოყენებული შეღავათი გამოაკლდება გადასარიცხი დანამატის ოდენობას;

ბ) 2017 წლის 1 იანვრიდან შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობას.

(მე-6 მუხლის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №552 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 7. დანამატის გაცემა, შეჩერება, შეწყვეტა და გადაანგარიშება

1. სააგენტო ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღებიდან არა უმეტეს 20 სამუშაო დღეში უზრუნველყოფს დანამატის გაცემას.

2. ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების შეჩერება, შეწყვეტა ავტომატურად იწვევს დანამატის შეჩერებას, შეწყვეტას.

3. დანამატის გადაანგარიშება ავტომატურად განხორციელდება დანამატის ოდენობის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად.

მუხლი 8. დამატებითი პირობები

1. ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო პერსონალზე (ექიმი/ექთანი) გაიცემა ერთი დანამატი, მიუხედავად მაღალმთიან დასახლებაში მდებარე რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში ან რამდენიმე საშტატო ერთეულზე მისი დასაქმებისა.

2. თუ ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამედიცინო პერსონალი (ექიმი/ექთანი) ამავდროულად წარადგენს ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს, დანამატი გაიცემა მე-6 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტების შესაბამისად.

3. თუ ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ, დანამატის მიმღებ პირს წარმოეშვა ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლება, დანამატს მიიღებს ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტების შესაბამისად.

4. თუ დანამატის მიმღებმა პირმა დაკარგა ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლება და ამავდროულად წარმოადგენს ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს, დანამატს მიიღებს როგორც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სახელმწიფო პენსიის ან სოციალური პაკეტის მიმღები პირი.

5. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულმა სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, საშტატო ერთეულის გაზრდის შემთხვევაში, რომელსაც მოჰყვება ამ დადგენილებით განსაზღვრული დანამატის გაზრდა, წარუდგინონ დასაბუთებული პოზიცია საშტატო ერთეულის გაზრდის თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

(მე-5 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №552 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

თავი IV

მუხლი 9. ზედმეტად გაცემული დანამატის თანხების უკან დაბრუნების წესი

1. თუ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს ზედმეტად ჩაერიცხა დანამატი, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას, ამ თანხების უკან დაბრუნების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. თუ ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო პერსონალს (ექიმი/ექთანი) ზედმეტად ჩაერიცხა დანამატი, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას, ამ თანხების უკან დაბრუნების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

(მე-2 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №552 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.